# სახალხო გაზეთი

№ 141 სამშაბათი, 26 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი [illegible] № 141

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.


ნატალია მათეს ასული შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30-ს ოქტომბერს, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, გარდაცვალებულის ძვირფასი მეუღლის

ვასილ გიორგის ძე გლურჯიძის

სულის მოსახსენებლად, ქ. თელავში მიძინების ღვთის მშობლის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე. (1—173—1)


რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

ქალების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, მალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N 24—25. (50—57—22)

აზიური ბუფეტი მტკვარზე

მ. ზ. პირაპოვზოვისა

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტელ. N 103.

ყოველ-დღე სადილის დროს 2-დან 4 საათამდე და საღამოთი 9-დან ღამის 2 საათამდე უკრავს ახლად მოსული ინტერნაციონალური სიმებიანი ორკესტრი სოლო-კონცერტისტის ა. გ. ეგიაზაროვის ლოტბარობით. (10—163—3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშ. ავად. 1½—2½ ს.

ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

[illegible]—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. ვ.—შინაგ. და ბავშ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. ვ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წ.—6.—472)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ზედგენიძე მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. ვ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. ვ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (200—6.—309)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა"

ფასი 15 ცალი 6 კაპ.

„ 25 „ 10 კაპ.

„მირის" ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა" შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას. (15—150—3)


## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, გაიმართება

### ილია ჭავჭავაძის სახსოვრად

### სალიტერატურო და მუსიკალური განყოფილება.

I ილიას სურათის წინ ა) სიტყვა კიტა აბაშიძისა, ბ) ევდოშვილის ლექსს წაიკითხავს ნ. ერისთავი, გ) ხორო;

II დედა და შვილი, მონაწილეობას იღებენ ქ-ნ ჩირგაძე და ბ-ნი შარაშიძე;

III ცხოველი სურათი „კაკო ყაჩაღი"-დან, ყრმულით;

VI სალიტერატურო და მუსიკალური განყოფილება, მონაწილეობას იღებენ: ი. ზურაბიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გრ. დიასამიძე, ნ. ერისთავი, კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ყიფიანი, ნარკანი. ხორო შეასრულებს ქართულ სიმღერებს.

V ილიას ცხოვრებიდან სინემატოგრაფიული სურათი.

VI ცხოველი სურათი მელოდეკლამაციით, მონაწილეობენ ქ-ნი დავითაშვილი, ზალდასტანიშვილი, შალიკაშვილი და ნ. ერისთავი.

დასაწყისი 8 საათზე. (2—172—1)


გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში




გამოცემა მიხეილ ნემსაძისა

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა. ტელეფ. № 372.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ხარაძ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—5.—11)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—6)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

[illegible] ლით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—67)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—245)

ექიმი ქ. ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან განაახლა ავადმყოფების მიღება იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულება ავადმყოფთ. 9—1 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ., ყარაულოვის სახლი. (5—170—2).

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—63)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ბაბაშვილისა (უ)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—18)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—8)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვზე N 2. გადავიდა ვის ქუჩაზე [illegible]

ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში.

იღებს შინაგან და ქალთა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—9—25


## სახელმწიფო სათათბირო

**თავმჯდომარეობს ოქტი ვოლკონსკი.** მინისტრთა ლოჟაში განათლების მინისტრია. პირველ დაწყებით სკოლის კანონ-პროექტს არკვევენ.

**გარუსევიჩი** სცდილობს ნათელჰყოს, რომ კანონ-პროექტი პოლიტიკურის ტენდენციებითაა გაჟღენთილი, რასაც სასკოლო საქმეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ორატორი დაასკვნის, რომ, უკეთუ პოლონეთის ეროვნულ უფლებას ანგარიშის არ გაუწევენ და არ დააკმაყოფილებენ, რუსეთის სახელმწიფოსა და რუსეთის მთავრობის გავლენას არავითარი პოლიტიკური მომავალი არ ექნება პოლონეთში. ამ პროექტში გატარებული პოლიტიკური ტენდენცია კი წარმოშობს, არამც თუ შოვინისტურსა და ეროვნულ მისწრაფებას მასწავლებელთა წრეებში, არამედ საზიზღარის ზომებით გარუსების დოქტრინასაცაო. ცხადია, რა შედეგი ექმნება ასეთს პოლიტიკას პოლონეთის ხალხისათვის, რომელსაც ასე სათუთად და მხურვალედ უყვარს თავისი ეროვნული განთვითება. საუკუნეთა მიერ შექმნილი, პოლონეთის დამოუკიდებელი, ეროვნული კულტურის რუსეთის კულტურაში გათქვეფა ფიქტიურად შეუძლებელია. რუსულ განათლების ძალმომრეობითი გავრცელება პოლონეთში, პოლონეთის ბუნებრივს კულტურას ვერ მოჰკლავს, მაგრამ ბრძოლის გამწვავებას საბაბად კი გამოდგება. ეს პროექტი მით უმეტეს შეუწყნარებელია, რომ მასში არაა დაცული უფლებანი, სამართლიანობა და ბუნებრივობა. (ოპოზიცია ტაშს უკრავს)

**განათლების მინისტრი კასსო** აღნიშნავს, რომ ყველა აქ მოლაპარაკენი მოითხოვდნენ წერა-კითხვის გავრცელების აუცილებელ საჭიროებას. ეს გასაგებიცაა, რადგან უვიცობასთან რომ ბრძოლაა საჭირო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მინისტრს სასიამოვნოდ მიაჩნია, რომ სახალხო განათლების საკითხში სამინისტროსა და სათათბიროს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტები ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს, ხოლო მთავრობასა და სათათბიროს შორის ასეთი ერთიანობა უზრუნველ ჰყოფს საყოველთაო სწავლის სწრაფს განხორციელებას.

მინისტრი კომისიის ზოგიერთ შესწორებას ეთანხმება, ხოლო აღნიშნავს განსხვავებასაც: კომისიის მიერ შემუშავებულის კანონ-პროექტით სახალხო განათლების საქმე განათლების არსებულ უწყების ფარგლებს არა სცილდება, მთავრობის პროექტი კი იგულისხმებს იმპერიის ყველა პირველ-დაწყებით სკოლებს, —ეს კი უფრო ფართოდ აყენებს საკითხს; მეორეს მხრივ მთავრობის კანონ-პროექტი საეკლესიო სკოლებს არ იქვემდებარებდა, კომისია კი ამ სკოლებსაც კანონ-პროექტს უქვემდებარებს. დღევანდლამდე რუსეთში საეკლესიო და საერო სკოლა სრულიად დამოუკიდებლად მიემართებოდნენ საერთო მიზნისაკენ. სამინისტრო მიზეზებს ვერა ჰპოულობს მათის გაერთიანებისათვის და ჰფიქრობს, რომ რუსეთში საერო და საეკლესიო სკოლა ისევ მხარ და მხარ იქნებიან ხალხის საკეთილდღეოდ (მარჯვნივ: „ვაშა"). რაც შეეხება ადგილობრივ ენებზე სწავლის წარმოებას, ამაში ორივე პროექტი თანახმანი არიან, რომ მხოლოდ პირველ ორის წლის განმავლობაში სწარმოებდეს სწავლა ადგილობრივ ენებზე. მთავრობა ვერ შეიწყნარებს, რომ მთელი კურსი ადგილობრივს ენაზე ისწავლებოდეს. მინისტრმა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ სამოსწავლო საბჭოებს კვლავ შერჩეთ მასწავლებელთა განწესება—დათხოვნის სრული უფლება. სამოსწავლო საბჭოს წევრებს წინედ მთავრობა ნიშნავდა ხოლმე; კომისიის აზრით-კი საარჩევნო წესის შემოღება სჯობია; მთავრობა ამ საკითხში საშუალო გზას ირჩევს, ხოლო ბეჯითად მოითხოვს, რომ სამაზრო და საგუბერნიო წინამძღოლებს უწინდელი, ხელმძღვანელის უფლებანი შერჩეთ სამოსწავლო საბჭოებში (მარჯვნივ: „ვაშა"). მინისტრი თანახმა არ არის, რომ სკოლის ხელმძღვანელობა დირექტორებსა და ინსპექტორებს ჩამოერთავათ და კერძო გამგეთა ხელში გადავიდეს, ვინაიდან, თუ ადგილობრივ შესაფერი ხალხი არ მოიპოვება, სკოლა უხელმძღვანელოდ დარჩებაო. ადგილობრივ მოღვაწეობის შემსუბუქება შეიძლება, ცენტრალურ მთავრობის კომპეტენციის შეუმცირებლადაც [illegible]. მინისტრი განსაკუთრებით მოითხოვს, რომ ინსპექტორებს უეჭველად შერჩეთ უფლება სამოსწავლო საბჭოთა დადგენილების შეჩერებისა და ამ დადგენილებათა განსაჩივრებისა. დანარჩენ წვრილმან უთანხმოებათა გამო, მთავრობისა და კომისიის პროექტთა თაობაზე, როდესაც პროექტის მუხლობითი გარჩევას შევუდგებით, მაშინ შევეხებიო. (ტაშის ცემა მარჯვნივ და ნაციონალისტებში).

**ტიმირევი** ეჭვობს, რომ კანონ-პროექტის განხორციელებამ რაიმე სარგებლობა მოიტანოს, ვინაიდან კანონ-პროექტით განსაზღვრული სამოცმანეთიანი ჯამაგირი რიგიან მასწავლებლებს ვერ მოიზიდავსო. სანამ რიგიან მასწავლებელთა ლაშქარი არ გვეყოლება, საყოველთაო, სწავლაზე ბაასი უაზრობააო. (მარჯვნივ: მართალია! სწორეა!) საეკლესიო სკოლების სამინისტროს ხელში გადასვლა კი, ორის უწყებას გადაჰკიდებს, რაც სახალხო განათლების საქმეს დიდად ავნებსო.

**ენიკეევი** აღნიშნავს, რომ კანონ-პროექტი პედაგოგიის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება: სკოლაში პოლიტიკა შეაქვს, „ინოროდცების" უფლებათ ფეხქვეშ სთელავს და, საზოგადო განათლების მაგიერ, რუსულ ენის კურსს აფართოვებსო: ინგლისში უნივერსიტეტებია, სადაც მეცნიერებას სამშობლო ენაზე გადიან, რუსეთში კი ინოროდცებს პირველ-დაწყებით სწავლის მიღებასაც სამშობლო ენაზე არ ანებებენო. განახლებულ მართვა-გამგეობისაგან „ინოროდცებს" უფლება ჰქონდათ სხვა გვარი მოპყრობის მოლოდინისა. ორატორი მიმართავს 17 ოქტომბრის სათათბიროს, რომ კომისიის მიერ ნაჩვენებ გზას არ დაადგეს.

**კოვალენკო მეორე** აღნიშნავს, რომ სკოლა ძირს არ უნდა უთხრიდეს არც მართლმადიდებელ სარწმუნოებას და არც სახელმწიფოს მთლიანობას, ამისათვის სკოლას მთავრობის ფხიზელი და მკაცრი თვალი უნდა სდარაჯობდეს.

**მამა გეპეცკი.** სახალხო განათლების მინისტრის სიტყვამ. კაპუს-

ტინის და კარაულოვის სიტყვით გამოწვეული მწარე სვედა და მწუხრი ბურუსი განმიფანტა. არქივის ცნობებიდან ვიცით, რომ მეზვიდმეტე საუკუნეში,—როდესაც სახალხო სკოლა პირწმინდად ეკლესიის ხელში იყო,—წერა-კითხვა თითქმის ყველამ იცოდა. თუნდაც საეკლესიო სკოლა სამინისტროს უწყებას დაექვემდებაროს, ამითი ხარჯები მაინც არ შემცირდება, რადგან ყოველ სკოლას თავისი ინსპექტორი ეყოლებაო. შემდეგ ორატორი მიმართავს ცენტრს და სთხოვს, რომ სასულიერო წოდებას მხარი დაუჭირონ, მით უმეტეს, რომ მისი მისწრაფება პოლიტიკისა და დროებით მოვლენილ რყევის დამოუკიდებელ და მის გარეშე მდგომ საეკლესიო სკოლის განმტკიცებააო. ორატორს უკვირს, სად გაგონილა ისეთ საეკლესიო სკოლის უფლებათა შელახვა, რომელსაც ემხრობა რუსეთის მცხოვრებთა ნახევარზე მეტიო. (ძლიერი ტაშის ცემა ნაციონალისტებში და ცენტრში).

**მაკსუდოვი** თხოულობს, რომ მუსულმანთა სკოლებში სწავლა დედა ენაზე სწარმოებდეს და მასწავლებლადაც მხოლოდ მუსულმანებს ანწესებდნენ. ორატორის აზრით—სადღეისო საკითხია იმის გამორკვევა, თუ რა განწყობილება უნდა არსებობდეს მთავრობისა და მუსულმანთა შორის: ეს დამოკიდებულება შემთხვევით თანამგზავრთა დამოკიდებულებას ედარება, თუ განსაზღვრულ ფორმაში ჩამოყალიბდება. ამ საკითხის გადაწყვეტა ნათელ ჰყოფს საკითხს: მუსულმანებს ედგომილებათ რუსეთში, თუ არა? ჩვენ ვიყავით, ვართ და მხოლოდ მუსულმანებადვე დავრჩებითო. (ოპოზიციაში ტაშის ცემა).

**მამა მაშევიჩი** ამბობს, რომ კანონ-პროექტში ერთი რაიმე გარკვეული აზრი არ არის, მასში ათასი [illegible] ვერც ერთ ჩამოყალიბებულ პარტიას ვერ დააკმაყოფილებს. ამისთვის იგი მიმართავს ყველა პარტიებს, პროექტს მხარს ნუ დაუჭერთო.

**როჟკოვი** აღნუსხავს საეკლესიო სკოლის უვარგისობასა და მოუწესრიგებლობას და ურჩევს, ეს სკოლები სამინისტროს უწყებას დაექვემდებაროსო.

პირადის შეკითხვის გამო, ლაპარაკობენ: **კარაულოვი, მილიუკოვი** და სუშკოვი.

შემდეგი სხდომა 25 ოქტომბერს მოხდება.

# დეპეშები

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან

24—25 ოქტომბერი.

**საზღვარ-გარედ**

**თავრიზი.** რეშიდ-ულ დოულე თეირანიდან დაბრუნდა და ყარაჯადაგში ამბოხების ჩასაქრობად გაემგზავრა.

**პოტსდამი.** იმპერატორმა ვილჰელმმა სადარბაზოდ მიიღო საზონოვი. ბეტმან-ჰოლვეგი დღეს საზონოვს სადილს უმართავს. დღეს დილით ნადირობაა დანიშნული.

**ლონდონი.** სპარსეთის სრუტეში მართლა მომხდარა შეიარაღებული შეტაკება.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში ბრიანმა განაცხადა, რომ კაბინეტი რეაქციონურ სამინისტროდ არ უნდა ჩაითვალოსო. მთავრობას უნდა შეეძლოს,—საზოგადოებრივ წარმოებაში მუშაობის შეფერხებას ხელის შეშლა; იგი უნდა ესარჩლებოდეს მუშათა უფლებასაც. მათ უნდა გავუადვილოთ რკინის გზათა ადმინისტრაციასთან დამოკიდებულება, უნდა დავაწესოთ სამედიატორო კომისიები. გაფიცვის უფლების კანონ-პროექტს ორი კვირის შემდეგ განიხილავენ. ამ თათბირის ანგარიშმა კულუარებში კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ბერლინი.** რუსეთის იმპერატორის პატივსაცემლად სადილი მშვენიერ „იასპის-გალლერიი"-აში გაიმართება.

**სოფია.** სახალხო კრებაზე, სახალხო პარტიის ბელადმა—გეშოვმა სთქვა, რომ მაკედონიაში საქმის ვითარება ვერ გვაკმაყოფილებს, ახალგაზდა ოსმალებმა კანონიერი მოლოდინი არ გაგვიმართლეს და კონსტიტუციის სულ[?] მიზეზი გაასუჯობესებს. პროგრესისტთა ბელადმა—დანევმა აღნიშნა, რომ ოსმალეთში ბულგარელებიც იმავე მოგომარეობაში უნდა იმყოფებოდნენ, რა მდგომარეობაშიაც მუსულმანები არიან ბულგარიაშიო. ორატორს არა სჯერა ოსმალეთ-რუმინიის შორის კონვენციის არსებობა. ხოლო მათი დაახლოვება კი ეჭვს გარეშეაო. ბულგარიამ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს. ტოდოროვმა განაცხადა; ბულგარიამ პირდაპირ უნდა აღიაროს, რომ ოსმალეთის სამფლობელოდან საზღვარების გაფართოვებას არ ესწრაფისო.

**მადრიდი.** სენატმა, 149 ხმის უმეტესობით, 85 წინააღმდეგ, მიიღო კლერიკალთა საწინააღმდეგო კანონ-პროექტი.

**პარიზი.** მადრიდიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მეფე ალფონსის მოკვლის ამბავი, სიცრუვეაო

**ურმია.** ურმია-სალმასის გზაზე ყაჩაღობა გახშირდა. გაძარცვეს რუსეთის ქარავანი.

**პოტსდამი.** დილის 9 საათზე რუსეთისა და გერმანიის იმპერატორები, ამალის თანახლებით, ირმებზე სანადიროდ გაემართნენ.

**ბრიუსელი.** ძველ ბრიუსელში, გამოფენის მიდამოებში, ცეცხლი გაჩნდა. სამი სახლი დაიწვა.

**პარიზი.** „მატენი" იუწყება, რომ თუ სესხის გამო კვლავ საფრანგეთს მიმართავენ, საფრანგეთი არ დასთანხმდება, რომ ამ სესხით გაისტუმრონ ავსტრო-გერმანიაში დროებით აღებული ვალი. საფრანგეთის პირობები მეტად მინიმალურია, ხოლო თუ სესხის აღებამდე ოსმალეთს საქმეები აეწყო, სესხის პირობებსაც ასწევენ.

**სტამბოლი.** სალონიკიდან იუწყებიან, რომ შესაძლებელია ბულგარიდან შემოტანილ საქონელს ბოიკოტი გამოუცხადონო

**ვენა.** „ფრემდენბლატტი" იმპერატორთა შეხვედრის გამო ამბობს: რადგანაც საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი ერთგვარად უცქერიან ამ შეხვედრას, მას ნაყოფიერი შედეგი მოჰყვებაო.

**პოტსდამი.** იმპერატორები ნადირობიდან ნაშუადღევს 3 საათ. და 45 წ. დაბრუნდნენ.

**პარიზი.** სოციალ ისტთა პარტიის ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა, რომ, როგორც პარიზში, ისე მის გარე მიდამოებში 23, 24 და 25 მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგები გამართოს. საყოველთაო შრომის კონფედერაციამაც გადასწყვიტა ასეთივე მიტინგები პროვინციებში მოახდინოს. პარიზში მომხდარმა, ქალაქის თავთა კონგრესმა სასურველად მიიჩნია მუნიციპალიტეტების ავტონომიურ უფლებათა გაფართოვება და მუნ მსახურთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

**ლონდონი.** ექიმ კრიპპენმა, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, სასამართლოს დადგენილება განასაჩივრა. მის განსაჩივრება უყურადღებოდ დასტოვეს.

**მადრიდი.** მუშებს განზრახვა ჰქონდათ საბადელიდან ბარცელონაში წასულიყვნენ, მაგრამ ჟანდარმებმა იგინი გაჰფანტეს.

**მაინის-ფრანკფურტი.** ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ საგიჟეთს ცეცხლი გაუჩნდა. ბევრი ავადმყოფი ცეცხლში მოჰყვა, რამდენიმე ასი ავადმყოფი ტყეში გაიქცა.

**სუნდსვალი** (შვეცია). თოვლის ნამქერებმა აუარებელი ტელეგრაფისა და ტელეფონის ბოძები წააქცია.

**ვენა.** სეიმის სხდომაზე უკრაინელთა ბელადმა ლევიცკიმ იმედი გამოსთქვა, რომ საარჩევნო რეფორმის საკითხში, ორივ ეროვნების ინტერესების დასაცველად, შეთანხმება შესაძლოაო. ამისთვის ითხოვა, რწმუნებულთა გადაწყვეტილებას დავუცადოთ და მანამდე კი სხდომა შევწყვიტოთო. ლევიცკის წინადადება მოეწონა, როგორც პოლონელ პარტიებს ის რუსთა ხალხის პარტიასაც.

**პარიზი.** „ტან"-ი სწერს, რომ იმპერატორთა შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით სპარსეთის დღევანდელ მდგომარეობის საკითხისათვის; ამ შეხვედრას კავშირი აქვს გერმანის ინტერესებისა და რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულობის შეთანხმებისათვის.

**ვენა.** „ცაიტი"-ს აზრით, იმპერატორების დღევანდელი შეხვედრით მხოლოდ გერმანია მოიგებს, რადგანაც ამ ორის წლის წინედ ის დარჩა გარიყული ეხლა კი ავსტრო-უნგრეთი დარჩა გარედ, რადგანაც რუსეთთან ვერ მორიგდა. ავსტრო-უნგრეთს მხოლოდ ერთი მოკავშირეღა შერჩა—გერმანია. „ნეიე ფრაიე-პრესსე" ამბობს, რომ რუსეთმა ევროპის ორ დიდ სახელმწიფოსთან გასძლო ხიდიო.

**ვილდპარკი.** იმპერატორი 23 ოქტომბერს პოტსდამიდან წავიდა.

**ურმია.** რიზა ხანმა და მუსტაფა-ხანმა 200 ცხენოსნით დაიპყრეს დოლი ოლქი. ამბობენ, ვითომ ოსმალეთის აქეზებდეს მათ.

**თეირანი.** ზელლი-სულთანი თეირანში დაიბარეს, მას გენერალ-გუბერნატორ ფარსის ადგილს აძლევენ.

**ბერლინი.** საზონოვი დიდხანს ებაასა გარეშე საქმეთა მდივანს და იმპერატორის კანცლერს.

**სტამბოლი.** სესხის უმთავრესი პირობები შეიმუშავეს. გერმანია-ავსტრიის ჯგუფი შეჰპირდა 11 მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხებას ორის წლის განმავლობაში წინდაწინვე 500,000. მისცემენ.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მადრიდსა, ბარცელონასა და საბადელში სრული სიწყნარეაო.

**ახალი ბუხარა.** იალტიდან დაბრუნდა ემირი ბუხარისა.

**რ უ ს ე თ ი**

**სოხუმი.** სამეურნეო საზოგადოება ნოემბრის განმავლობაში აპირებს აფხაზეთის სოფლებში სამეურნეო ლექციების მართვას.

**ხარკოვი** საბეითალო ინსტიტუტში ფიზიოლოგიური ლაბორატორია გახსნეს.

**მოსკოვი.** ტრეტიაკოვმა უანდერძა ნახევარ მილიონი მან. ქალაქის ახალ საავადმყოფოს,, ნახევარ მილიონი-უნივერსიტეტს.

**სლავიანსკი.** აფეთქებამ დაანგრია ქვითკირის შენობა, სადაც ავაკიანცის ფეხსაცმლის სავაჭრო იყო.

**ელეცი.** ელეცის სადგურზე ლამით დაიწვა წისქვილი, ბეღელი და 100 ვაგონი ხორბალი. ზარალი 75 ათასი მანეთია.

**ცარიცინი.** აკურთხეს, ქალაქის ხარჯით დადგმული, გოგოლის ძეგლი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

კვირას ისევ გამოვიდა გაზეთი „საქმე" და პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, „სახალხო გაზეთს" შეებრძოლა. მართალია, ამ ბრძოლის იარაღი ცოტა მოძველებულია, მაგრამ რას იზამ, თუ სხვა იარაღი არ მოეპოვება. თურმე ნუ იტყვით,

„სახალხო გაზეთი" კმაყოფილია ნამესტნიკის კანონ-პროექტით. ის (**ნეტა ვინ?**) სიხარულით (!) აღნიშნავს, თითქოს კავკასიის მთავრობამ უარჰყო თავად-აზნაურთა წოდებრივი ინტერესები და გლეხ-კაცობას გამოესარჩლა.

ასეთი აზრი გამოჰყავს „საქმეს" ჩვენის გაზეთის მეთაურ წერილიდან: „ახალ საგლეხო პროექტის შესახებ"! მოდი და ნუღარ დაეჯერებ, რომ

სახალხო გაზეთი" დაცინებით (!) უარ-ჰყოფს თავისიანთა 1905—6 წლის გზას".

უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინაც ამასვე გვიკიჟინებდნენ...

თუ ჩვენ „კმაყოფილებით, სიხარულითა და დაცინებით" ვართ გამსჭვალულნი, არც საქმეა მაინცა და მაინც დაღვრემილი, ვინაიდან

ნაციონალისტური ბანაკი გასაჭირშია. ქართველი ხალხი ნაციონალიზმს უარჰყოფს. უმაღლესი წოდება-კი მუდამ ნაციონალიზმს ებღაუჭება (**ამიტომაც არ ადგია გადაგვარების გზას!**) ამიტომაც იყო საქართველოს ავტონომიის განხორციელებას ლამობდნენ ქართველ თავად-აზნაურობის (**მაგალ. თავ. ნ. მინგრელსკისა, დავ. მელიქიშვილისა, გენ. ამილახვრისა და სხვ.**") და ინტელიგენციის, ქართველ ეპისკოპოსთა და მერე ქართველი ხალხის ძალ-ღონით. ასე ფიქრობდნენ „საქართველოს" მეთაურები განმათავისუფლებელ მოძრაობის ჟამს".

მაგრამ „საქმელებმა" დასძახეს მედგრად „ძირს ავტონომიაო". და იხსნეს ქართველი ხალხი ამ უბედურებისაგან. ეგაა, რომ ავტონომიის სული ისევ ჰბუდობს „სახალხო გაზეთში" და საჭიროა მისი აღმოფხვრა ძველის, ნაცადის იარაღით!..

***

„ნოვოე ვრემიას" უკანასკნელს ნომერში უცნობი „ზატერიანნი" (**ე. ი. დაკარგული**) ეხება კავკასიის შავი-ქვის საქმეს. იგი სწუხს, რომ შავი-ქვის წარმოება საშინლად დაეცა, იღუპება და ამის მიზეზი ცნობილი პირობები კი არ არის, მისის აზრით, არამედ სულ სხვა:

კავკასიის რევოლუციამ საბოლოოდ მოჰკლა ბათომიდან ნავთის გატანის საქმე, მოჰკლა მთელი ქალაქი ბათუმი რომელიც დიდ საკომერციო ცენტრიდან კავკასიის მივარდნილ სოფლად (?) გადაიქცა; ახლა რკინის გზის დიდ ტარიფი (ქიათურის შტო) და დიდი საზღვაო ფრახტი, აგრეთვე შავი-ქვის მწარმოებელთა ჯგუფისა და ექსპორტერთა ნაწილის არა-კეთილ-სინდისიერება, სიკვდილს უქადის მთელს კავკასიის შავი-ქვის წარმოებას. საჭიროა ამაზე დაფიქრება.

ხოლო ბ. „ზატერიანნის", რაღა თქმა უნდა, რევოლუცია უფრო აფიქრებს ვიდრე ტარიფის დაკლება:

არსებულ ეგრედ-წოდებულ „შავი მრეწველთა კრების საბჭოსი" არავითარი იმედი არა გვაქვს: ამ საბჭოს ხელმძღვანელნი გართულ არიან უფრო პო-

# აი სად ბუდობს სიყვარული

**ვუძღვნი ნინოს.**

(ესკიზი)

ტყის მშვენებას ვინ არ მოჰყავს აღტაცებაში.

გამაცოცხლებელ, სურნელოვან ჰაერით, ყვავილ მცენარეთა ყნოსვით დამთვრალი, აქა-იქ ანკარა წყაროებიდან გული რომ აგრილებს, თვალს აამებს საუცხოვო მწვანით შემოსილი მთა-ღრეები და სმენას ატკბობს ფრინველთ ჭიკჭიკი!..

ვინ არ ეძლევა ოცნებას, როცა ბუნებით სტკბება, მის მშვენებით გარს შემორტყმული!.. ვინ არ მაღლდება სულით, ვის არ უცემს სიამით გული?!.

ტყის საიდუმლო სიჩუმე, მდუმარება, ფოთლებს ზეფირი ნაზად რომ ეჩურჩულება, გონებას რა არ ეჩვენება, ვის არ უიკვირდება ამ უტყვ სიცოცხლის საიდუმლოება?!.

ვინ არ სტკბება ჩუხჩუხა ნაკადულით, ვიწრო ხევში რომ მოჩანჩქნარებს, ნაპირებ ტყით აღმართული ყვავილით შემოსილი?!.

რომ უყურებ ყვავილ-მცენარის, უძრავ მშვენებას, უსმენ დუდუნს ნაკადულისას, სჭვრეტ რხევას ტოტებ-ღერო-ფოთლისას, რაღაც საიდუმლო ჩურჩულს ისმენ და გრძნობ, რომ მათშიაც შთანერგილია ჩუმი, ნაზი, ნეტარებით სავსე სიცოცხლე!..

რაც მეტად ბუნებას უახლოვდები და გრძნობით ივსები, მით უფრო ნათლად გესახება კეთილი სული, რომელიც დაჰფრენს ამ მყუდროებაში და სიყვარულის ნეტარება სცრის უძრავ სიცოცხლეს...

ლაპლაპი ჰეპელებისა, მათი ამბორი ყვავილებთან, ჭია-ღუების ზუზუნი, ცელქი ნიავი და მზის ლაჟვარდი სხივი, ტყეში მოფენილი, ყველა ერთად ალაგზნებს ადამიანსა!..

ამ დროს გრძნობ, რომ აქ დაბუდებულია, აქ არის ნამდვილი სიყვარული, მთლად გრძნობად გადაქცეული!.. აქ არის ის, სპეტაკი, მომხიბლავი, ტკბილი გულის პასუხი!..

მაშინ რწმუნდები, რომ სიყვარულია საფუძველი მთელის ჩვენი ცხოვრებისა, რომ მისთვის შეწირულია ძალ-ღონე, გონება, გული, შემოქმედება!

აქ გრძნობ იმ სიცოცხლის სიტკბოებას, რომლითაც ვცოცხლობთ ჩვენა და ოცნების ფრთებით მივექანებით დასატკბობად!..

ახ, ნეტავ შენ, ბუნებავ, რომ აგრე გატკბობს სიყვარული!..

**გიორგი ფოცხოველი.**

# ფერია ბედნიერებისა

... იყო, იყო და გაფრინდა.

— არა დედი, ლაათავე, შენი ჭირიმე, ეს ზღაპარი.

— დავათავე და ის იყო, ჩემო კარგო.

— იყო ფერია ბედნიერებისა. დილას პარნასზე აპოლონს ესტუმრებოდა და, მისი სიმების ჟღერით დამტკბარი, მერე სხვას უზიარებდა ბედნიერების გრძნობასა, არა დედილო?..

— ჰო, ჩემო კარგო!

მაგრამ ხარბს დიანას შეშურდა, რომ მას ადამიანები პატივსა სცემდნენ და შური იძია. ერთს დღეს, როცა დიანა სანადიროდ წამოსულიყო, ისინი შეხვდნენ ჯვარედინ გზაზე. ბოროტმა დიანამ მას ძალები მიუსია და მისი თოვლივით თეთრი ტანისამოსი სისხლმა შეღება.

— არა, დედი?

— ჰო, ჩემო კარგო!

მას შემდეგ დასწყევლა ფერიამ სოფელი და დასისხლიანებულ ფრთებით ლაჟვარდოვან სივრცეში შეისრიალა მას შემდეგ ის არავის უნახავს. იყო ფერია ბედნიერებისა და გაფრინდა... გაფრინდა.

შემდეგ ადამიანებს არ ეკარება ბედნიერება, შორს გაურბის, ისე, როგორც გნოლის ლაშქარი მშიერს არწივს. იმისთვის არის, რომ ადამიანებს სახე ჩამოსტირით ხოლმე. ვერ ნახავ პირმოცინარე ადამიანებს, გლოვობენ დაკარგულ ბედნიერებას. გადია მელაპარაკებოდა, რომ ბედნიერება ბოდვააო.

— დედა, არ მოვა კიდევ ის ფერია?—დაჟინებით ეკითხებოდა ჭირვეული ბავშვი დედას.

— რა ვიცი, შვილო. ხედავ იმ მთებს, ცაიამდე რომ აყუდებულან ასე არიან სულ ისინი; ნისლი რომ მოეხვევათ, ეს მათი ლოცვაა, ცას შეჰვედრიან,—ფერია დაგვიბრუნეო და ელიან სულ დაუსრულებლივ, გული ელევათ ლოდინში... უსაზღვროა მათი ლოდინი.

— ნეტა როდემდის გაგრძელდება ეს ლოდინი, უთუოდ ჩვენ ვერ მოვესწრებით, არა დედილო?

— არ ვიცი, შვილო!

ბავშვს ჩასთვლიმა, მხოლოდ დედა, კიდევ ჰფიქრობდა ამ საბედისწერო კითხვაზე და ბოლოს დაქანცულმა თავის ნანაზე თვითვე მიიძინა.

**ფ ა რ ვ ა ნ ა**

დღე ღამემ შესცვალა. შავ-ჯანიერ ფრთებში გამოხვია ღამემ სოფელი და ყრუ მდუმარება დაეპატრონა არე მიდამოს. მწუხრის ნიავმა მაღალ მთებში მწუხარებისას ჩამოჰკრა სიმებს და მწარედ აქვითინდა. ვზივარ მარტო ოთახში და წიგნს ვკითხულობ. ირგვლივ ღამეა, დაუსრულებლივ ბნელა გარშემო ისე, ვით ჩემ სულში. მომაკვდავივით ბჟუტავს სანათი და მკრთალი სხივები კედელზე აჩრდილივით დაფარფატებს. ამ დროს, არ ვიცი საიდან, ჩემს ოთახში გაჩნდა ფარვანა, თითქოს სიკვდილისა წინდაწინ იგრძნოდამიო, სანათს მიეფართხალდა, სუსტად სცემდა ფრთებს და მის მაგიერ, რომ უკან გამოფრენილიყო, რაღაც უცნაურ ვნებით აღტყინებული, გიჟურ ვნებით ალს თავს ევლებოდა. ვხედავდი, როგორ თრთოდა მისი პატარა ტანი, თანდათან სცვიოდა ფრთები და ბოლოს სულ დაიფერფლა. ვერც კი მოვასწარ გადამერჩინა... მაგრამ განა ჩვენი ცხოვრებაც ასე არ მიდის? დაბადებიდან ვეტრფით რაღაცას, რომელიც ბედნიერებაც არის და სიყვარულიც, მაგრამ ამაოა ლტოლვა. ოცნება ჰქრება, ოცნება ცახცახებს... ნაღველში ჰქრება ჩვენი ცხოვრება. საფლავში მიგვაქვს გრძნობა დაუკმაყოფილებელი, წადილი—აღუსრულებელი, ლტოლვა—განადგურებული, და ძალე დაფარავს მას გაუმჭვირვალე ჩრდილი საფლავისა, თითქოს არც კი არსებულიყოს. და ასე თავდება მუდამ უკვდავი ზღაპარი ჩვენის ცხოვრებისა...

**ე პ ი ტ ა ფ ი ა**

ხრიოკ უდაბნოს თუ მოხვიდე, მგზავრო, ოდესმე, გვერდს ნუ აუვლი ჩემს საფლავს, იყავ მომთმენი. ჩემს ამბავს გეტყვის შენ ეს ჯვარი, თავს, რომ მიყრდვნია. ყური დაუგდე, ის საფლავით არის ამონაძახი და განგებას ცეცხლის ასოთი ჯვარზე წაუწერია: აქ განისვენებს წინასწარმეტყველი, ვისის ბაგითაც თვით განგებამ ღაღადჰყო ერთხელ ჭეშმარიტება, რომელიც ეხლა ჩემ საფლავში განისვენებს, რადგან ვერ იგუეს ის ადამის ძეთა. განთიადისას, მაღალ მცნების უცნაურ გზნებით აღტყანებული, სოფლად მოველი, ბურანში მყოფ ძმათა გასაღვიძებლად. მაგრამ ამაოდ გაჰკიოდა ჩემი ნაღარა... ამაო იყო ხმა სიმართლისა, არვის ესმოდა. უწყლო უდაბნოს ჩემმა სიტყვებმა ცრემლი ადინეს, იმდუღრებოდნენ ბუმბერაზი მაღალი მთები, მაგრამ ყოველი იყო ამაო: ვინც სხვას აღვიძებდა, ეხლა თვით სძინავს და ვისაც სძინავდა, მას ხომ ეძინება უკუნისამდე. არ გაიკვირვო, რომ შეხედო ჩემს ირგვლივ ლოდებს,—ეს ძეგლია, სიცოცხლეშივე რომ აღმიგეს მადლიერებმა. ნუ დაგაშინებს, ეს ყველასი არ არის ხვედრი; კაცთა ნათესავი მხოლოდ ჩვენ გვიმკობს მითი საფლავებს... ჩემო კეთილო, ჩემს საფლავზე ვარდებს ნუ დარგავ, თორემ ცრემლი, საფლავიდან ამონახეთქი იმათ გაახმობს, ჩვენ ცრემლში ვიშვით, ცრემლში ვცხოვრებდით და ცრემლშივე მოვკვდით, ვარდები საფლავზე მხოლოდ მწარე დაცინვაა...

**ს ი კ ვ დ ი ლ ი.**

... ის ყოველგან არის და ყოველთვის.

მისი მეფობა განუსაზღვრელია და მსხვერპლი აურიცხველი, მისი ჩრდილი ყველას თან ახლავს, და განუწყვეტლივ მისის ფრთების ფრთხიალი ყველას მოესმის. ის ბედია წინამძღვართა უბედურებისა. მთანი მაღალნი, მწუხარებაში გაქვავებულნი, სდგანან და ელიან. მათი ლოდინი „დანახვაა უნახავისა"—ამბობს მგოსანი... უსაზღვროა მათი ლოდინი, რადგან მათ უკვე მოესმით ჩონჩხების ქნარზე სიმების ჟღერა. ის სიკვდილია, დაძინებისას უმღერის სოფელს. კარგად იციან, რომ ის გრიგალია ჟამის ოკეანიდან ამოვარდნილი, და, ვინ იცის, რამდენიხე ძირიანად ამოუთხრია, იციან რომ სიკვდილი მიწის ძვრაა, ვულკანის ლაფი, მიწის წიაღიდან ამოხეთქილი, და მაღალ მთებსაც იმსხვერპლებს.

... სიკვდილი აპოთეოზია ბუნებისა.

ის ერთია, რომელმაც არ იცის ღალატი. ჟამსა მწუხარეს, მისი სიმღერა ყურს ჩამოესმის, სამაგიეროდ აკვანშიაც თავს დაფარფატებს ჩჩვილ ყრმას და, დედის ნანასთან ერთად, ისიც მღერის. მისი სიმღერ ნაღვლიანი და სევდიანია...

ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა, ვით ქარიშხალი დაძრწის უდაბნოდ და ვაი მას, ვინც ხელ-გაწვდილს მას გზაზე შეხვდება! გამოეთხოვოს ის ყველაფერს, სამარის ჩრდილი მას გადაეხვევა.

ის მიზანია ჩვენის ცხოვრებისა, მისი გზა ძვლებით არის მოკენჭილი.

... ის ყოველგან არის და ყოველთვის.

მის წინ სიცოცხლე თრთის და ცახცახებს, მითი სუნთქავს ყოველი სულდგმული, მითი სუნთქავს ცისა ლაჟვარდი და მშვენება განთიადისა, მის მსახვრალ ხელში ყველა გაივლის, ყველა გაჰქრება; „მოსაგონებლად, ვაგლახ! რომ ფერფლიც აღარ დარჩება"...

... და ჩვენშიაც ჰბუდობს სიკვდილი...

**ტ. ტაბიძე.**

ლიტიკის თამაშს და თავის წვრილმან საქმეთა მოწყობაში, მხარისა და სახელმწიფოს სავაჭრო-სამრეწველო ინტერესები მათ არ აწუხებთ.,. მინისტრთა საბჭო, რომელშიაც შედის კავკასიის ნამესტნიკიც თავისის მოადგილის სახით, იძულებული იქმნება ბოლოს და ბოლოს სერიოზულად განსაჯოს, თუ რა უნდა გაკეთდეს კავკასიისათვის და რა გზით დამყარდეს რევოლუციითა და ანარქიით შერყეულს კუთხეში ისეთი წესი, რომ უმდიდრესი მხარე აწ წარმოადგენდეს რაღაც მოწყვეტილს ნაჭერს, სცხოვრობდეს კულტურულ—შრომის სიცოცხლითა და არა რევოლუციურ-ავაზაკურის ექსცესებით (გადაჭარბებით)".

ამისათვის არსებობს ერთად-ერთი მტკიცე ძალა, რომლისათვის კავკასიის მართველთ თურმე ჯერ ვერ მიუგნიათ!

მგონი, დიდი ხანია დადგა დრო, რომ შემუშავებულ იქმნას მტკიცედ განსაზღვრული **(თუ განუსაზღვრელი?)** დაგეგმილი პროგრამმა კავკასიის მართვა-გამგეობისა, რათა ეს მხარე დამორჩილდეს და დასთანხმდეს ხალხის ცხოვრების დაძველებულ ფორმათა გარდაქმნაზე... ნაწილობითი რეფორმები, თუნდაც ძალიან კეთილიც, საქმეს არ უშველის, დადგა დრო ძირითადის დანგრევისა. კავკასიაში ყველაფერი ან დაირღვა, ან დალპა. დამყარდა წარმოუდგენელი ხაოსი...

ბ. „ხატერიანი" შემდეგ თავისებურად უმასპინძლდება თვით ნამესტნიკსა და მის ახლობლებს, ბ. ვატაცის, პეტერსონს, ჯუნკოვსკის... ხოლო სახელმწიფო სათათბიროს კავკასიის წარმომადგენლებს სთვლის პოლიტიკურ პარტიებისა და არა მცხოვრებთა წარმომადგენლებად. ტრაღიკულია კავკასიის მდგომარეობაო, დასძენს ბ. „ნოვოე ვრემიის" თანამშრომელი.

ოღონდაც!..

## ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**ფრენა ტფილისში.** კვირას, 24 ოქტომბერს დიდუბის მოედანზე მეორედ გაიმართა ფრენა, კავკასიის მფრინავთა ჯგუფის თაოსნობით. გასაფრენად ამ დღეს მოწვეულნი იყვნენ ავიატორები: კებუროვი და ვასილიევი. პირველად გაფრინდა კებუროვი ბლერიოს სისტემის ბიპლანით, მაგრამ ერთს საჟენზე ძლივს ავიდა, რომ ბიპლანი უეცრად მიწაზე დაეშვა. გამოირკვა, რომ ბიპლანს მარცხენა ფრთა დაზიანებოდა. ავიატორი უვნებლად გადარჩა, მაგრამ მანქანის ფრთის დაზიანების გამო, ფრენა ველარ განაგრძო. მცირე ხნის შემდეგ გამოვიდა მოედანზე ვასილიევი ბლერიოსავე სისტემის ბიპლანით და ორჯელ გაფრინდა. უფრო საინტერესო იყო პირველი გაფრენა. ავიატორმა რამდენჯერმე შემოუარა მინდორს, დიდ ღელეს დილომს და შემდეგ მოხდენილად დაეშვა მინდორზე. ფრენას ხალხი ბლომად დაესწრო და უხვის ტაშის ცემით დააჯილდოვა ავიატორი.

**რედაქტორის საქმე.** გუშინ ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია გაზეთ „დროების" რედაქტორის ი. აგლაძის საქმე, რომელიც ვ. ჩერქეზიშვილის წერილის „მწარე სინამდვილე"-ს დაბეჭდვისათვის პასუხის გებაში იყო მიცემული სისხლის სამართლის მე-129 მუხლის მეორე და მეექვსე პუნქტების ძალით. პალატამ ი. აგლაძეს ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**ილიას სალამო ქუთაისში.** დღეს, 26 ოქტომბერს, ქართველი პოეტი ვაჟა ფშაველა ქუთაისს მიემგზავრება, სადაც მიწვეულია 27 ოქტომბერს ილიას სალამოში მონაწილეობის მისაღებად.

**ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულოში.** წელს ტფილისიდან სამხედრო სამსახურში გაწვეული იყო სულ 634 ახალგაზდა, რომელთაგან სამსახურში უნდა მიეღოთ 211 კაცი. პირველი ხარისხის შეღავათი ოჯახურ მდგომარეობის გამო ჰქონდა 210 კაცს. კენჭის ამოღება სწავლის გამო გადადებული ჰქონდა—66. უკანასკნელ წელს მიღებულ იქმნა 44 კაცი. 1906 წლიდან შემოღებულ კანონით, დანარჩენთა მიღება ეროვნების მიხედვით იყო განაწილებული: უნდა მიეღოთ: 1 ებრაელი, 3 უცხო რჯულის კაცი, 44 რუსი, ხოლო დანარჩენები—ქართველები და სომხები. 25 ოქტომბრის ნაშუადღევის 2 საათამდე სამხედრო სამსახურში მიღებულ იქმნა სულ—197 კაცი.

**ტფ. ხელოსანთა საკრებულოში.** 24 ოქტომბერს ხელოსანთა წარმომადგენლების კრება მოხდა ობოლთა სასამართლოსთვის ორის წევრის ასარჩევად. ვიდრე კრება არჩევნებს შეუდგებოდა ხანგრძლივი კამათი გაიმართა გ. ტ. პეტრუზოვისა და სხვათა მიერ აღძრულმა საკითხმა იმის შესახებ რომ ძველი წევრი ობოლთა სასამართლოსი ე. მაისურაძე თავის მოვალეობას რიგიანად არ ასრულებდაო. დასასრულ არჩეულ იქმნენ ობოლთა სასამართლოს წევრნი: ე. მაისურაძე და მ. მელენჩუკი.

**სავუბერნიო სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიაში.** 17 ოქტომბერს კომისიამ აირჩია ტფ. საგუბერნიო ექიმის ბ-ნ ქიქოძის თავმჯდომარეობით საგანგებო ქვეკომისია, რომელსაც დაავალა შეადგინოს ხოლერასთან ბრძოლის საუკეთესო ზომები და სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, რომლითაც ადმინისტრატიულის წესით პასუხის გებაში უნდა იქმნენ მიცემულნი ყველას ის პირნი რომელნიც ხოლერი მძვინვარების დროს სასანიტარო წესებს დაარღვევენ.

**მკვლელობა.** 24 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ბებუთოვის ქუჩაზე, თავის ბინაზე გეორგ ეგიაზარის ძე ხაჩატურიანცმა ბებუთით მოჰკლა გრიგორი პოღოზას ძე სარქისიანცი. პოლიციამ მკვლელის გარდა შეიპყრო: მოკლულის მეუღლე—ვერონიკა ხაჩატურის ასული და მისი ძმა გრიგოლ ხაჩატურის ძე მანუსაჯიანი. როგორც გამოირკვა, მკვლელსა და მოკლულის მეუღლეს საიდუმლო კავშირი ჰქონიათ ერთმანეთთან და ამ ნიადაგზე მომხდარა მკვლელობა.

**გიმნაზიელ ქამაროვის გატაცების გამო.** ამას წინად დაბა ხაშურში დაპატიმრებული ვანო ბერაია რომელიც ეჭვით შეიპყრეს გიმნაზიელ ქამაროვის გატაცების გამო, უკვე გაუნთავისუფლებიათ.

**ჯარიმა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა 1000 მანეთით დააჯარიმა სტამბის „გუტენბერგ"-ის გამგე—გიორგი ესაძე სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორის თვით დაპატიმრებენ.

**ხოლერა ტფილისში.** ხოლერამ იჩინა თავი. 21 ოქტომბერს ავად გახდა ხოლერით სტეფანე არხიპოვი, ხოლო 24 ოქტომბერს ავად გახდნენ: მათე ვასილის ძე სადოვსკი და გეორგ იაკიმეს ძე მიქელოვი.

**განაჩენის გაუქმება.** სენატმა გააუქმა კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ნოვობაიაზეთის ქვეითის პოლკის ტყვიის მფრქვევთა როტის უფროსს ხარაძეს ექვსის წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი პატრონებისა და მსწრაფ მსროლელების სხვა მოწყობილებათა მითვისებისთვის.

**თავის მოკვლის განზრახვა.** 23 ოქტომბერს ტფ. მოქალაქე ალექსანდრე თომას ძე პასლიჩენკომ, თავის მოკვლის განზრახვით ნიშადურის სიმჟავე დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც სიკვდილს გადაარჩინეს.—24 ოქტომბერს თავის მოკვლის განზრახვით კარბოლის სიმჟავე დალია სტეპანიდა იაგორის ასულმა ბალენდინისამ. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

**უპასპორტონი.** პოლიციამ შეიპყრო 24 ოქტომბერს—22 უპასპორტო, ხოლო 24 ოქტომბერს—76.

## ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

**პეტერბურგი.**

არ ყოფილა მაგალითი, ქართველ სტუდენტებს თავიანთი გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანოთ, რაც სათვისტომოს სხდომაზე გამოითქვა, რეალურად ცხოვრებაში სასურველად განეხორციელებინოთ. ამას გვიმტკიცებს ქართულ სათვისტომოს დღევანდელი ვითარება.

სათვისტომოს კრებაზე 15 ღვინობისთვეს, დღიურ წეს-რიგში შეტანილი იყო, სხვათა შორის საკითხი იმის შესახებ, მიიღოს თუ არა სათვისტომომ მონაწილეობა საერთო სტუდენტების ორგანოში.) რომლის გამოცემა განზრახულია. საქმე შემდეგში მდგომარეობს: პომავალ სასტუდენტო ჟურნალის ინიციატორებს წინადადება მიუციათ სხვა და სხვა მოწინავე სათვისტომოებისთვის,—გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენლები ამ ჟურნალის გამოცემის შესახებ წინასწარ გამართულ თათბირზე დასასწრებლადო. პირობები ჯერ-ჯერობით ასეთია: ყოველმა სათვისტომომ, რომელიც-კი მოისურვებს მონაწილეობა მიიღოს, უნდა შეიტანოს პაი ოცდა ხუთი მანეთი; ჟურნალი, ინიციატორების აზრით, მემარცხენე იქნება, ყოველ შემთხვევაში კადეტიზე მარჯვნივ არ გაიწევსო. ასეთი წინადადება ქართულმა სათვისტომომაც მიიღო. ამ საკითხზე ცხარე კამათი გაიმართა. ერთი რიგი ორატორებისა ამტკიცებდა მონაწილეობის მიღების საჭიროებას, მეორენი ამის წინაამდეგნი იყვნენ და თავიანთ აზრს ასე ასაბუთებდნენ: რა-კი ჟურნალი პროფესიულ ხასიათისა იქნება და იქ შესაძლებელია ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრმა სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა, ჩვენ სირცხვილად მივიჩნევთ იმათთან მუშაობასო. ეს აზრი შეიძლება გამართლდეს, რადგან დღეს სტუდენტობა ფერცვალებას განიცდის.

ერთმა ორატორმა იუკადრისა,—რას ქვიან, ჩვენ-ჩვენი „მე" უნდა შევიტანოთ საერთო სფეროში, უნდა მივიღოთ მონაწილეობა ჟურნალის გამოცემაშიო. მაგ დალოცვილს, შინ ვერა გაუწყვია რა, თავისი „მე" სათვისტომოში ვერ განუმტკიცებია, სათვისტომო ვერ დაუყენებია სწორე გზაზე და სხვას რაღაცას ეპოტინება. კაცი ისრჩობოდა და ხავსს ეჭიდებოდაო, ნათქვამია—სწორედ ასე მოგვდის; ყველგან უნდა ჩავერიოთ, ყველაფერს ხელი უნდა წავაპოტინოთ და იმას კი ვერ ვამჩნევთ, რომ წყალში ვიძირებით. მონაწილეობის მიღება ამ საქმეში კარგია, მაგრამ, თუ გინდათ სხვას დაეხმაროთ, შინ საქმე მოაგვარეთ!

გადასწყვიტეს, გაეგზავნონ წარმომადგენელი განსაზღვრულ დირექტივებით, მაგრამ ვაი, თუ თავიანთ დირექტივებით კინწის კვრით გამოაბრუნონ ეს წარმომადგენელი და უთხრან: უკაცრავად, ჩვენ მოგიწვიეთ და თუ გსურთ, ჩვენ გაგვიგონეთ, თუ არა და მიბრძანდით აქედანო. შესაძლებელია ასეც მოხდეს!

დღიურ წეს-რიგში ბოლო საკითხად დასმული იყო ეთნოგრაფიულ საღამოზე მონაწილეობის მიღება. ამის სურვილი ერთხმად გამოითქვა. საჭიროც არის მონაწილეობის მიღება და ის კომისია, რომელიც ამ მიზნით იქმნა ამორჩეული, აქედანვე უნდა ეკადოს საქმე კარგად მოაგვაროს, თორემ შარშანდელივით თუ მოუვიდათ, უჯობესია თავი მიანებონ. ეთნოგრაფიულ საღამოზე ქართული განყოფილების მოწყობას თვით ტრადიციულ ქართულ საღამოზე არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს, არ უნდა შევრცხვეთ!..

წინედაც მითქვამს და ეხლაც გავიმეორებ, საჭიროა კრებებზე ყველა ორატორი ქართულად ლაპარაკობდეს*). ორის თუ სამის კაცის მეტი ყველანი რუსულად ლაპარაკობენ; რუსული კი ზოგ მათგანს ისე ეხერხება, როგორც მე ჩინური. ნუ თუ გადავგვარდით ისე, რომ ორი-სამი წინადადება ქართულად ვერ გამოგვითქვამს?

**ლადო გიგაშვილი.**

*) ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს განათლებულებს, თავიანთ საზოგადოებაში, საკუთარ ოჯახშიაც კი მეტ ბარგად მიაჩნიათ ქართული ენა. **ახალი ამწყობი.**

## მოსწავლეთა ექსკურსიებიდან

**ერთის დღით მცხეთის მიდამოებში.**

პარასკევს, 22 ოქტომბერს, 12-13 მოსწავლე მცხეთის მიდამოების დასათვალიერებლად წავედით. ინიციატივაც და ხელმძღვანელობაც ჩვენივე, მოსწავლეთა, იყო.

პირველად, არმაზისკენ წავედით. ვნახეთ არმაზის ეკლესია, სადაც მირიან ბერი დაგვიხვდა.

ამ ბერის ნახვამ სწორედ „დატაოტის" ლეგენდური საბა ბერი მოგვაგონა. აუჩქარებლივ, სადა ქართულით მოგვესაუბრა მირიანი, თავის პატარა საყდარში შეგვიწვია და იქ უბრალოდა და მარტივად გვითხრა ის, რაც აქამდის თუმცა ბევრჯერ გვსმენია, ასე გულწრფელადკი—არასოდეს. გვითხრა, რომ ჩვენი, ისედაც პატარა, ქვეყანა უპირობამ დააქუცმაცა, მამა-პაპის ალმა ხნული ჩვენ, შვილიშვილთა, დალმა ვფარცხეთ; ეხლანდელი გამოზრდილები ახალს არ აშენებენ და ძველ ნაშთთაც არ უფრთხილდებიან; თქვენ, ახალგაზრდებს, გმართებთ ამაზე დაფიქრებაო,—ეს გვითხრა მირიან ბერმა და სწორედ ჩაგვაფიქრა.

რაღაც რელიგიურ ექსტაზზე მოგვიყვანა მართალმა სიტყვამ, გულში მიძინებულმა რწმენამ გაიღვიძა.

რამდენი სულიერი ძალა ვნახეთ ამ გამხმარ კაცში, რა სიტყვის ძალა ჰქონდა უსწავლელს, მაგრამ მამულისა და სარწმუნოების მრყვარე, ბერსა!

ჩვენ, ფიზიკურადა და სულიერად დაძაბუნებულთ, ჩვენი თავისადმი იმედი გაგვიღვიძა. ერთის სიტყვით, გამხნევებულნი შევუდექით დიდს აღმართს არმაზის ციხის სანახავად.

ოდესღაც დიდებული არმაზის ციხე-ქალაქი, ეხლა უბრალო ნანგრევებია არის, მაგრამ მის ნანგრევებში, ვინ იცის, რამდენი ისტორიული საუნჯეა დამარხული!

სხვათა შორის, ერთი რამ გვიკვირდა: ჩვენ ამ აღმართზე ცარიელნი ძლივს ამოვედით და რა ძალამ და ენერგიამ აღმოიტანა აქ უშველებელი ლოდები არმაზის ციხე-ქალაქისა?!

დაბრუნებისას მირიანს ჩამოვუარეთ, რომელმაც თავისი ლოცვა და გამხნევება თან გამოგვატანა.

სვეტიცხოვლის ტაძრის ნახვამ დაგვალონა თითქმის ყველანი: ტაძარი-ტაძართა დანგრეულია და მის კედლებში დაფლულს, ნეტარ-სახსენებელს ირაკლის მშობლიურს ენაზედ წარწერა არ ალირსეს! სვეტი-ცხოვლის გარეგნობა მიმზიდველია, ლამაზია და თვალ-წარმტაცი, მაგრამ „რამდენად უფრო მშვენიერია, იმდენად უფრო გვიკვდება გული".

სამთავროს მონასტერი გარეგნობით თითქმის პროტოტიპია სვეტიცხოვლისა. შესანიშნავი, გარდა წმ. ნინოს სამლოცველოსი და პირველ ქრისტიან მეფე-დედოფლის საფლავებისა, არაფერი გვინახავს.

აღსანიშნავია, რომ ქართველი იგუმენია ნინო (ბარათაშვილი), ქართულ ენის ხეირიანად უცოდინარობის გამო, თავისს სესტს იხსნას რუსულად გვეუბნებოდა.

საღამოთი ტფილისში დავბრუნდით.

ამ მოკლე მოგზაურობამ დაგვარწმუნა, რომ რაც ამ ერთს დღესა ვნახეთ და გავიგონეთ, შეიძლება ტფილისში ათს დღესაც ვერ გაგვეგონა.

მირიანის სიტყვები, საგულისხმო და გულწრფელი, არ დაგვავიწყდება.

**ვ. კარბელაშვილი.**

## მცირე შენიშვნა

ამას წინად ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში მივიდა ერთი აისორი და პატრს ლაზარე გოზალიშვილს სთხოვა, რომ ჩემი პასპორტი სპარსეთიდან ლათინურად დაწერილი მომცეს და გთხოვთ, რომ ეს ლათინური რუსულად მითარგმნეო. ამ აისორის გვარი პასპორტში აღმოჩნდა **იორდანეშვილი.** მერე გამოირკვა, რომ იორდანეშვილება ადრე საქართველოდან სპარსეთში გადაუსახლებია შაჰ-აბაზსა და რამდენიმე კომლი ამ გადასახლებულთა აისორებში დაუბინავებია. იქ ესენი კათოლიკობას დაჰკავშირებიან. იქ ამათ ქართული ენა დაჰკარგვიათ, გვარი კი ქართული შერჩენიათ. ამ კაცის მეგვარეთა რიცხვი იქ 14 კომლი ყოფილა.

**ზ. ჭ.**

## მოწერილი ამბები

**ოზურგეთი.** 7 ოქტომბერს აქაურ ფოსტა ტელეგრაფის კანტორას რევიზია გაუკეთეს, რის შემდეგ გამოირკვა, რომ ფოშტის უფროს ნ. ასათიანს 108,00 მ. გაუფლანგავს. ასათიანი ადგილობრივ სატუსაღოში ჩასვეს. ის ძალზე მოხუცებულია, 75 წლის იქნება. ის ძლიერ მატიოსან კაცად ითვლებოდა და ვინ იფიქრებდა, რომ ამ გვარ საქმეში გაერეოდა, მეორე დღეს გამოძიება მოახდინეს, სადაც იგი გამოტყდა თავის დანაშაულში; და ამასთანავე როგორც გადმოგვცეს. დაუსახელებია რამოდენიმე კაცი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმეში. ასათიანს ყველაფერი აუწერეს. 10 სექტემბერს ის ეტაპით ქ. ტფილისში გაგზავნეს.

—

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ადგილობრივ მაზრის უფროსის ზაკუსოვის თანაშემწე ქართველიშვილი გადაყვანილ იქმნა ლეჩხუმში, მის ადგილზე მოდიან მახარაძეს.

—

11 ოქტომბერს, ღამის 9 საათზე, გვირიკეთის ქუჩაზე რამოდენიმე თოფის ხმა მოისმა. ყველანი საზარელ შიშის ზარმა მოიცვა. ეგონათ, ვიღაც მოჰკლესო. პოლიცია ფეხზე დადგა. ყველა ქუჩებზე ჯარი გავიდა. ბოლოს გამოირკვა, რომ რამოდენიმე გადაგვარებული უხადი ყმაწვილებს შეხვედრობდნენ და შესაშინებლად რამოდენიმე თოფი დაეცალათ. პოლიცია მათ გამოუდგა, მაგრამ ამაოდ.—16 ოქტომბერს ა. ჯაყელის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნება: „გემრიელი ლუკმა" კომ. ორ მოქ. დ. მესხის. „პირველი და უკანასკნელი კოცნა" დრამა ურთ სურათად ტარუაშვილისა, და „ოთხი იმერელი", ვოდ. 1 მოქ. დ. მესხისა.

—

12 ოქტომბერს ს. გვირიკეთში ცოცხალს მიაბარეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა 19—20 წლის ჯან ღონით სავსე ლადიკო ნიტიფორის ძე ტრაპაიძე. პროცესიას ხალხი საკმაოდ დაესწრო. კუბოს მრავალი გვირგვინიამკობდა. აგრეთვე წარმოთქმულ იქნა რამოდენიმე სიტყვა. ლადიკო იყო დაუღალავი და პატიოსანი მუშაკი....

**თზურ—ელი.**

—

**ს. დიდი ჯიხაიში.** სამშობლოენის სწავლების საქმე რომ ჩვენში ყველგან უთვალოდ უკუღმართად არის დაყენებული, ამას დიდი მტკიცება არ უნდა. მაგრამ ალაგ-ალაგ სკოლაში დღემდე კიდევ სარგებლობდნენ 1881 წ. სამოსწავლო გეგმით და სამშობლოენის იმ თავითვე არ უსპობდნენ უსუსურ და მშობლის კერას ახლად მოშორებულ ბავშვებს. ერთ ასეთ სკოლად ითვლებოდა დღემდის დიდი ჯიხაიშის საზოგადოების 2-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი. აქაც წარსულ ზაფხულამდე ძველი დასახელებულ სამოსწავლო გეგმით ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ ეს ვერაფრად მოეწონა ბ. მანჟიკოვს, რომელმაც მოისპო ამთავითვე უცხოენის სწავლება.

რა თქმა უნდა, არსებულ სკოლის სამზრუნველოს შეეძლო ხმა ამოეღო ამ უკუღმართ განკარგულებაზედ, ოლქის მზრუნველისათვის არზით მიემართა, მაგრამ მას ჯერ თავი არ შეუწუხებია ამაზედ რამდენიმეც ვიცით, არც ანი შეაწუხებს.

ადგილობრივ ორკლასიან სკოლისათვის ამ ჟამად აგურისაგან ახალ ორსართულიან შენობას აგებენ, რაც თითქმის 7000 მან. ჯდება. ამ ფულში ზოგს სამოსწავლო უწყება იძლევა და ზოგსაც თვით საზოგადოება იხდის.

ამ თვის დამდეგისათვის, თუ აქაურ სცენის მოყვარეთ ენერგიამ არ უმტყუნა, განზრახულია ილიას სადამოს გამართვა, რაც აქ პირველად იქნება. ილიას სადამო ჯერ აქ არ ყოფილა. შემოსავლიდგან, თუ კი რამე დარჩა, ფიქრობენ, ილიას თხზულებანი შეიძინონ ადგილობრივ წიგნთ საცავ სამკითხველოსათვის, რომელიც წევრთა დაუდევნელობისა და გულცივობისა გამო აგერ აგერ სულს დალევს. დაუდევნელობა-კი იმაში გამოიხატება, რომ თითქმის არავის არ უნდა, რომ საწევრო ფული შემოიტანონ და მით სამკითხველოს არსებობის საღსარი მისცენ. წევრები კი მას ბევრი ჰყავს, მხოლოდ სახელით, რადგან ჩვენი კაცი სახელისათვის ყველაფერს იზამს, ოღონდ ეს მუქთად-კი იყოს!..

ერთად ერთი არსებობის წყარო ჩვენის სამკითხველოსთვის მოწყალებაა. ადგილობრივ სცენის მოყვარულთაგან გამართული წარმოდგენებიდგან შემოსული. ასეთი წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ ამ წელში ორი გაიმართა. ერთმა დეფიციტი დაგვიტოვა და მეორემ-კი ცოტაოდენი თანხა, რითაც აუცილებელი ვალები იქმნა გასტუმრებული. ამ თვის დამდეგიდგან აქ დაიწყებს მოქმედებას ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რასაც კაიხანია მოუთმენლად ველით.

სხვა აქაურ კულტურულ დაწესებულებაზე, მაგ. ქსენონ აფთიაქზე ამ ჟამად მხოლოდ ის შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მისი მომვლელი სრულიად უზრუნველ-ყოფილია, თუ მისი კომიტეტი მეტ გონივრულ სიმწიფეს გამოიჩენს. მასში არსებულ წესრიგს უკვდავად დასტოვებს და ზოგიერთ ვაჭარ-ბატონებს გაბედულად ნიღაბს ჩამოგლეჯს. ეს ვაჭარბატონები ფიქრობენ ამ დაწესებულების ძირის გამოთხრას! საერთოდ, ამ საზოგადოების საქმე კარგად იქნებოდა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია მეტს ყურადღებას აქცევდეს გზების შეკეთებასა და ბაზრის სისუფთავეს, მაგრამ...

სოფლის სამართველოებში ყველგან მოხელეები დაითხოვეს. დარაჯები (სტრაჟნიკები) დიდ ჯიხაიშ-კი ისევ დაუნარჩუნეს. ნეტავ ვიცოდეთ, რათა? იმიტომ რომ დუქნებში სმა და ქეიფი არ შესწყდეს? აქაურს მამასახლის ერთისთვის წინად სწორედ სათაკილო საქმე დაემართა. 150 მ. ამოაცალეს დაკეტილის უჯრიდგან სოფლის სამმართველოს იმ ოთახში, სადაც დარაჯები ბინადრობდნენ და მთელი დღე მორიგე დარაჯი იყო. ნუთუ ეს გასაკვირველი არ არის? ქურდებისა და ქურდობის მოსასპობლად სოფლად დაყენებულ დარაჯებს, სადარაჯო ოთახში დღისით შეუდით ქურდი, იპარავს 150 მ. და ჩვენი მცველ-მფარველი მამასახლის დარაჯები მისი ასავალ დასავლისას ვერაფერს ტყობილობენ! ეს ამბავი რომ სხვაგან მომხდარიყო, რამდენ უდანაშაულოს აუჭრელებდნენ იგინი მათრახის ცემით გვერდებს!

წელს კარგი მოსავლიანი წელიწადია. სიმინდი უხვად არის. ცოტა ვენახებს ვერ ემადლიერებიან, მაგრამ არა უშავს, ღვინისობას კიდევ გაუძლებს კაცი, თუ საჭმელი ძვირი არ შემოგვიდგა. ამინდებმა თუ აცალა, ამ თვის დამლევს რთველი მთლად გათავდება.

**ტრიფილე გაბაშნელი.**

## ქუთ. ქალაქის საბჭო

18 ოქტომბერსაც განახლებულ ქალაქის საბჭოს სხდომას ხმოსნები ბლომად დაესწრნენ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სხდომებს ისეთი ხმოსნებიც კი ესწრებიან, რომელნიც წარსულ წლებში სრულიად არ ეკარებოდნენ ქალაქის საბჭოს.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე, რომლის წინადადებით საბჭომ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ ნამყოფის მუურომცევის ხსოვნას. სამძიმრის დეპეშა ქალაქის გამგეობას უკვე გაუგზავნია განსვენებულის ჭირისუფლებისათვის

ამ სხდომაზე ქალაქის საბჭომ 25-მდე საქმე განიხილა. ამათში მეტად საყურადღებოა საქალაქო საკრებულოს

დადგენილება იმის შესახებ, რომ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ნება მიეცეს გააკეთოს სასამართლოს ეზოში სიბინძურის ორმოები, სადაც სიბინძურე უნდა იწმინდებოდეს ეგრედ წოდებულ შამბოს (ანუ მუჯანიეს) სისტემით და შემდეგ მდინარე რიონს უერთდებოდეს. ეს კითხვა რამდენ ჯერმე განუხილავს ქალაქის სასანიტარო კომისიას, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ ექიმებსა და ინჟენრებს, და შეუძლებლად უცვნია ორმოებიდან სიბინძურის რიონში ჩაშვება, რადგან შამბოს სისტემა უვარგისად ცაუნახავს. ქალაქის საბჭოსაც უარი უთქვამს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისათვის. მაგრამ უკანასკნელს საბჭოს დადგენილება საქალაქო საკრებულოში განუსაჩივრებია. საკრებულოსაც მხედველობაში მიუღია ის გარემოება, რომ აბანოებიდან და ზოგიერთ კერძო სახლიდან სიბინძურეს პირდაპირ რიონში უშვებენ (რასაკვირველია, ქალაქის გამგეობის ნებადაურთველად) და, მიუხედავად არსებულ სავალდებულო დადგენილებისა, გაუუქმებია საბჭოს დადგენილება და შესაძლოდ უცვნია, რომ ოლქის სასამართლოს ორმოების სიბინძურე რიონს შეუერთდეს. ამგვარად, საქალაქო საქმეთა საკრებულოს დაუკანონებია ის უკანონობა, რასაც ქურდულად შვრებიან კერძო პირები! ნუ თუ ასე მალე დაავიწყდა საკრებულოს ის შიში, რომლითაც ამ ორი თვის წინად მოცული იყო მთელი ქალაქი ხოლერის არსებობის გამო? ქალაქის საბჭომ, რასაკვირველია, უსაფუძვლოდ სცნო საკრებულოს დადგენილება და ერთხმად გადასწყვიტა, რომ ეს დადგენილება განასაჩივროს სენატში.

შემდეგ დადგენილ იქმნა: პირველდაწყებით მესამე საქალაქო სასწავლებლის 1 განყოფილებასთან გაიხსნას პარალელური კლასი; მიეყიდოს გ. მებუკრიშვილის ქალაქის იჯარით აღებული ადგილი, ოთხკუთხი საჟენი 30 მან.; მომავლის წლის ქალაქის სატრაქტირო გადასახადი განსაზღვრულ იქმნას 11,750 მან.; უყურადღებოდ დატოვებულ იქმნას ყასბებისა და მეფურნეების თხოვნა ხორცსა და პურზე ნიხრის მომატების შესახებ; რიონის ნაპირებზე სისუფთავის დასაცველად დაქირავებულ იქმნას ორი მცველი; უყურადღებოდ დატოვებულ იქმნას მედუქნეებისა და ღვინის საწყობების პატრონთა თხოვნა იმის შესახებ, რომ მათ ნება მიეცეთ დუქნების უკან ცხენების დასაბმელად თვალუები იქონიონ.

დასასრულ არჩეულ იქმნენ საბჭოს კომისიები.

1) სასკოლო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: დ. ა. ნაზაროვი, გ. მ. ცაგარეიშვილი, გ. ი. გველესიანი, გ. ლ. ქორქაშვილი, მ. ო. ჩინჩალაძე, თ. ა. მთავრიშვილი და გ. ს. ბარათაშვილი.

2) საავთიაქო კომისიის წევრებად: ი. ი. პურადაშვილი, გ. დ. ნასარიძე, დ. ბ. მდივანი, ი. მ. ჩიქოვანი, გ. ი. ბადრიძე, ა. ს. ჩარკვიანი, ლ. პ. კოკოჩაშვილი.

3) საამშენებლო კომისიის წევრებად: ი. გ. კეშულარია, ს. ნ. ლორთქიფანიძე, ტ. ა. ასათიანი, ი. ფ. ავსარქისოვი და ბ. პ. მოსეშვილი.

4) დამფასებელ კომისიის წევრებად: ი. ფ. ავსარქისოვი, ნ. ს. ბარამიძე, მ. ნ. რუხაძე და ფა ს. ფილიპოვი.

5) საბაზრო კომისიის წევრებად: მ. ე. დარახველიძე, ნ. ს. ბარაბაძე, ვ. ნ. აბულაძე, გ. თ. ტყეშელაშვილი, ს. გ. ბოკერია და მ. ნ. რუხაძე.

6) საბიბლიოთეკო კომისიის წევრებად: კ. რ. გოცირიძე, გ. ი. გველესიანი, გ. დ. ნასარიძე, დ. ბ. მდივანი, გ. ი. ბადრიძე და ვ. ნ. აბულაძე.

7) სასანიტარო კომისიაში: ბ. პ. მოსეშვილი, გ. დ. ნასარიძე, ს. ნ. ლორთქიფანიძე, ი. დ. ბოკერია, დ. პ. ნაზაროვი, ს. ი. ხეჩინოვი, ა. ს ჩარკვიანი, გ. ი. ბადრიძე, დ. ბ. კვირველია და გ. ლ. ქორქაშვილი.

8) საფინანსო კომისიის წევრებად: გ. ფ. ზდანოვიჩი, ა. ს. საყვარელიძე, ს. ლ. ბახტაძე, ს. ნ. ლორთქიფანიძე, ი. მ. ჩიქოვანი, რ. ყ. დათეშიძე, გ. ი. გველესიანი და დ. ნ. აბდუშელიშვილი.

9) სარევიზიო კომისიის წევრებად: გ. ლ. ქორქაშვილი, რ. ყ. დათეშიძე, კ. რ. გოცირიძე და ი. ლ. ბექაია.

**იხარა.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** შაბათს, 23 ოქტომბერს დრამატიულმა დასმა წარმოადგინა პიესა ნ. შიუკაშვილისა „მეგობრობა“. ეს პიესა შარშანდელ სეზონშიაც ითამაშეს ორჯელ. ჩვენს გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი საკმაოდ ვრცელი რეცენზია. ასე რომ, ამ ჟამად დიდს ხანს არ შევჩერდები პიესაზე, „მეგობრობა“ „გამხმარი ფოთოლის“ გაგრძელებაა. „გამხმარ ფოთოლში“ არჩილ ლომაური თავს ანებებს თავის ცოლს და თამარს უკავშირდება. „მეგობრობაში“ კი აწერილია თანდათანი გაცრუება სიყვარულისა თამარისა და არჩილს შორის, თამარის გატაცება სხვა და სხვა გასართობებით, ბოლოს ღალატიც. თამარი გარყვნილ ცხოვრების გზას დაადგება, არჩილ ლომაური ამას ვერ იტანს, მოქმედებით შეურაცხყოფს თამარის ერთს მოარშიყეთაგანს (და, ბოლოს, წელში გატეხილი, ცხოვრებასთან ბრძოლაში გასრესილი, ისევ ძველ ოჯახს, დარღვეულ კერას, უბრუნდება. საუკუნოებით შემუშავებული ზნეობრივი ნორმები გამარჯვებული დარჩნენ. ამ პიესამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ბ-ნ შიუკაშვილში მქადაგებელი სჩრდილავს მხატვარს. ბ-ნ შიუკაშვილს რომ არა სჭირდეს დაუძლეველი ჟინი მქადაგებლობისა, მისი ნაწარმოებნიც ბევრად უფრო მხატვრულნი იქნებოდნენ. ბ-ნი შიუკაშვილი იმდენად პიესის მხატვრულ მხარეზე არა ფიქრობს, რამდენადაც ამა თუ იმ სენტენციის დამტკიცებაზე მთელი ეს ორი პიესა, მაგალითად, იმ აზრის დამტკიცებას უნდება, რომ სიყვარული წარმავალი გრძნობაა, რომ მას მხოლოდ დროების შეუძლიან კაპიტალის ადამიანი. სიყვარულით გატაცებული თამარი ჰკარგავს ამ სიყვარულს, ყოველ-დღიური მოთხოვნილებანი უფრო ძალუმად იღვიძებენ მასში და ბოლოს გარყვნილ ცხოვრებამდე მიჰყავთ. არჩილიც იძულებული ხდება თავის ძველ მეგობარს დაუბრუნდეს.

საზოგადოთ ეს ორი პიესა ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, თითქოს იგი ვილაცას მსჯავრსა სდებს. ავტორი არჩილ ლომაურის ფსიხოლოგიურ მომენტების გადმოცემაზე კი არა ფიქრობს, ის ასამართლებს არჩილ ლომაურს: აი, ხომ ხედავ, შენს ცოლ-შვილს უღალატე, რაღაც პუნდოვან ხასიათის გრძნობას მიეცი შენი თავი, ეხლა სამაგიეროდ მიიღე, თამარმა გიღალატა და შენც იძულებული ხდები ისევ ძველს მეგობარს დაუბრუნდეო, მაგრამ ძალიან უსამართლოდ სდებს მსჯავრს ბ-ნი შიუკაშვილი არჩილ ლომაურს. ავტორს თავისი გმირი ისეთს ყალბს პირობებში ჩაუყენებია, რომ სამართალში მისაცემი, თუ ასე შეიძლება ითქვას, თვით ავტორია. არჩილი, ავტორის წარმოდგენით, პოეტური არსებაა. თუ თამარი ამ პოეტურმა არსებამ მოხიბლა, უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც პოეტური არსება ყოფილა, მასაც ჰქონია ძლიერი გრძნობა, მასაც შესძლებია სიყვარული გატაცებული და ღრმა. „მეგობრობაში“ კი სულ სხვასა ვხედავთ. თამარი ძალიან ფუქსავატად ეძლევა გარყვნილ სარდიონ უბადრულიძეს. ადამიანი, რომელიც არჩილის პოეტურმა და ამასთანავე პატიოსნურმა სიყვარულმა გაიტაცა, ინსტინქტიურად მიხვდებოდა, რაც შვილი ბრძანდება სარდიონი. თამარი ამ ელემენტარულ ინსტინქტსაც კი მოკლებული ყოფილა და ასეთს სუსტად განვითარებულ ფსიხიკის პატრონს როგორ შეეძლო შეეყვარებინა არჩილი, ან არჩილს იგი,—სწორედ წარმოუდგენელია. ავტორს თავისი გმირი განსაზღვრულ პირობებში ჩაუყენებია და ჩაუქსოვია მათში არა ისეთი ფსიხიური მომენტები, რომელნიც ამ პირობებიდან ლოღიკურად გამომდინარეობენ.

აქედან იბადება სიყალბე უმთავრეს მომქმედ პირთა, აქედან იბადება სრული გაურკვევლობა მათი სულიერი მოძრაობისა. ამისათვის კი პასუხისმგებლად არჩილს გავხდით.

მოკლე საგაზეთო რეცენზიაში პიესის ყოველ-მხრივი განხილვა შეუძლებელია. თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, ვეცდებით, სხვა დროს უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ბ-ნ შიუკაშვილს, თქმა არ უნდა, ნიჭი აქვს; ბევრი სცენები დიდის ხელოვნებითაა დაწერილი, და ჩვენც შენიშვნებს მხოლოდ იმიტომ ვუკეთებთ, რომ მისი განვითარების იმედი ძალიანა კვაქვს. „სიმახინჯე“, მაგალითად, გაცილებით უფრო ხელოვნურად არის დაწერილი, ვიდრე „გამხმარი ფოთოლი“ და „მეგობრობა“. „სიმახინჯე“-ში ნათლად სჩანს ობიექტივობა ავტორისა, ამა თუ იმ გმირის სულიერ ვითარების დახატვის დროს. ნათლადა სჩანს, რომ მას თავისი პირადი სულიერი განწყობილება მომქმედ პირთა სულიერ განწყობილებად არ ეჩვენება. იმედი გვაქვს, ბ-ნი შიუკაშვილი შრომას თავს არ დაანებებს და ჩვენს ღარიბს დრამატიულ მწერლობას არა ერთსა და ორს პიესს შესძენს.

„მეგობრობა“ ჩვენმა მსახიობებმა კარგად წარმოადგინეს. არჩილ ლომაურის როლში ძალიან კარგი იყო ბ-ნი ვ. გუნია. უკანასკნელი მოქმედება ბ-ნმა გუნიამა და ქ-ნმა ო. ლეჟავამ ისე კარგა ჩაატარეს, რომ ბევრს თვალეებზე ცრემლებიც კი მოადგა.

საზოგადოდ პროვინციალური ცხოვრება, რომელიც ბ-ნ შიუკაშვილს ძალიან ნიჭიერად აქვს გადმოცემული, ჩვენმა მსახიობებმაც კარგად დაგვიხატეს. ეს უსაქმოდ მოხეტიალე ვიქტორ კახიძე (ბ-ნი დ მგალობლიშვილი), ერთავად მოქეიფე აფიცრები და სხვანი მშვენიერს სურათს წარმოადგენენ პროვინციალურ ცხოვრებისას. კარგები იყვნენ ბ. ბ. ირადელი და მგალობლიშვილი. საზოგადოდ კი წარმოდგენამ ანსამბლით ჩაიარა.

—

კვირას, 24 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქმნა „ვიდრე ხვალ უფალო“, სენკევიჩის რომანიდან გადაკეთებული დრამა. დრამაში ქრისტიანობის დროინდელი ამბავია აღწერილი, სენკევიჩის თხზულება იმდენად გავრცელებულია, რომ უექველია მისი შინაარსი ეცოდინება მკითხველს. ეს პიესაც კარგად წარმოადგინეს, დისონანსი ბ-ნ მესხს რომ არ შეეტანა. ნერონი ძალიან რთული პიროვნებაა და მისი ისე გაპამპულავება, როგორც კ. მესხმა გააპამპულა, ყოვლად შეუძლებელია. ნერონი ლოთიც იყო, გარყვნილიც, მაგრამ იგი მარტო ლოთი და გარყვნილი არ იყო. მას არანორმალურ ცხოვრებისაგან ფსიხიური ორგანიზაცია მოშლილი ჰქონდა, მაგრამ იგი არც სულელი იყო. ბ-ნ კ. მესხმა ნერონის როლი ვერ გააპიროვნა და მისი რთული პიროვნება ჯეროვანის სისრულით ვერ დაგვიხატა. კარგი იყო პეტრონიუსის, კეთილშობილ პატრიცის როლში ბ-ნი გუნია. რომი გარყვნილი იყო, მასში ბევრი სისაძაგლე იხატებოდა, მაგრამ მოიპოვებოდნენ ისეთი მარგალიტებიც, როგორიც პეტრონიუსია. პეტრონიუსი ღვიძლი შვილია ძველი რომისა. ის მეტად მდიდარი და დამთავრებული პიროვნება: ვაჟკაცი, მოსიყვარულე, პატიოსანი, გმირი სიყვარულშიაც და სიძულვილშიაც, მართალი იყო მარკოსი, როდესაც ამბობდა: შენის სიკვდილით სილამაზე და პოეზია მოჰკვდაო. კეთილშობილ პეტრონიუსის როლი ბ-ნმა გუნიამ დიდის ხელოვნებით შეასრულა. კარგები იყვნენ ზარდალიშვილი და გედევანოვიც. ქ-ნმა დავითაშვილმაც თავისი როლი მოხდენილად შეასრულა. საზოგადოდ კი წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**Homo.**

—

**ქუთაისი.** ახალი პიესა ლეონიდ ანდრეევისა „გაუდეამუს“ (მოხუცი სტუდენტი), იდეური გაგრძელებაა მისივე „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“.

ეს პიესა დასმა ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, ითამაშა. ღირსებით ეს ახალი ნაწარმოები მის წინამორბედს უეჭველად ჩამოუვარდება. პიესას ჰსურს დაგვიხატოს ის უნიადაგო ოცნება, როდესაც მოხუცი ხელ-ახლად გაყმაწვილებასა სცდილობს. დროთა მსვლელობამ მოხუც სტუდენტს ცხოვრების კარებზედ ჩუმად ჩამოუკაკუნა 47 ჯერ. მაგრამ მისის წარმოდგენით სიბერე ჯერ კიდევ შორს იყო. რა ვუყოთ, რომ სახე დანაოჭებულია, თმაც თოვლივით გასთეთრებია! ეს ბუნების შეცდომაა, ეს ნაკლი ცხოვრებისა დი მდგომარეობისაგან არის გამოწვეული. საქმე გულია, ხალისი. გული კი მას ჯერედ ახალგაზდურად უცემს, იგი ისევ ჭაბუკია, მოყვარული სიცოცხლისა... და შეუერთდება იგიც ახალგაზდობას. მაგრამ მან ამხანაგებში მხოლოდ დაცინვა და „ბებრის“ სახელი დაიმსახურა. ნაძალადევმა „ფაუსტმა“ ვერ შეუწყო ხმა სიცოცხლით აღსავსე ჰარმონიას და „ჰაფუქდა გალობა“. სცადა სიყვარულიც..., აქაც წინ გადაეღობა ჭაბუკი მეტოქე და სასტიკად დაამარცხა.

ბუნების ულმობელი კანონი თავისის სისასტიკით მხოლოდ ეხლა დაუდგა მას თვალ-წინ, და უიმედობისაგან გულმოკლული სიცოცხლით აღსავსე, სცილდება არე-მარეს, სადაც მას ადგილი არა ჰქონია.

ამ პესიმიზმს, ყველასათვის ცხადსა და მასთანვე საჭირბოროტო „სიბერის“ საკითხს გვიყენებს თვალ-წინ ანდრეევი, მაგრამ ეს მხარე ისე ჩვეულებრივად აქვს ავტორს პიესაში გამოყვანილი, რომ მაყურებელს იგი ვერ იტაცებს.

სულ სხვა სურაის წარმოადგენს მეორე მხარე—ახალგაზდობა თავისის ღირსება-ნაკლულევანებით. აქ, მართლაც ანდრეევი ჩვეულებრივად მკვეთრად აკვესებს...

პიესაში ორი ძველი ნაცნობიც ურევია. ბლოხინი, რომელსაც ჯერაც არ გასწორებია ენა და ხმა და ძველებურად სცრუობს სიმღერაში, და ონუფრი ნიკოლოზის ძე. ეს კი უფრო დახელოვნებულია ოხუნჯობაში და .. არყის სმაში.

პიესის მთელი ნახევარი სმა-ჭამასა და ქეიფს უნდება და ონუფრი ნიკოლოზის ძე—როგორც ნამდვილი სუფრის „კავალერი“,— იმდენს ოხუნჯობს, რომ მსმენლები სიცილ ით იცრემლებიან...

ჩვენ გვიყვარს სიცილი და როცა გვაწვდიან მას, რაც გვიყვარს, ვკმაყოფილდებით...

პიესა იმდენად ღირსეულად შეასრულეს, რომ თვით ავტორიც რომ დასწრებოდა, უკმაყოფილო არ წავიდოდა.

შეუდარებელი ონუფრი იყო ბ-ნი ყალაბეგიშვილი. თავისის მოვალეობის პირნათლად შესრულება ამაზე შორს ველარ წავა და ვეღარც მოვითხოვთ.

ბ-ნმა შ. დადიანმა იშვიათის აწონდაწონვით და გათვალისწინებით გადმოგვცა მოხუც სტუდენტის სულიერი ტანჯვა და უმწეობა.

ქ-ნმა ანდრონიკაშვილმა მოხდენილ თამაშთან ერთად „კამარინსკიც“ მოხდენილად ჩამოუარა ბილო მოქმედებაში, თუმაცა არც ყალაბეგიშვილი და ბარველი ჩამორჩნენ უკან და ლაზათიანად „ჩაბუქნეს“. ამ სცენამ დიდი სიცილი გამოიწვია.

მკაფიოდ სჩანს რეჟისორის ხელი. სცენის მოწყობილება მშვენიერია. მუსიკა კულისებში დაბლა უნდა უკრავდეს მუდამ, რადგანაც ხშირად სიტყვები აღარ ისმის სცენიდან და მხოლოდ მოთამაშის ტუჩების ცმაცუნსა ვხედავთ...

თეატრი სავსე იყო. წარმოდგენას დაესწრნენ ტფილისის ექსკურსანტებიც, რომელთაც უადგილობისა გამო ორკესტრის ადგილი დაუთმეს.

დღეს, კვირას, ითამაშებენ შირვანზადეს ახალ პიესას „ევგინეს“.

**ჯაფარ-ფაშა.**

## უცხოეთი

**რევოლუცია პორტუგალიაში.**

როგორც ვწერდით, რევოლუციამ იეზუიტებს მეტად მწარე ბედი არგუნა: განდევნილ იქმნენ სამშობლოდან. იეზუიტებს საბოლოოდ დაუკარგავთ იმედი სამშობლოში დაბრუნებისა და თავშესაფარს გერმანიაში ეძებენ, სადაც კოლეგიუმების დაარსებას აპირებენ უმაღლეს პირთა შვილების აღსაზრდელად.

ცუდი ბედი ეწიათ ხალხის სხვა მტრებსაც. პირველ მინისტრის და პატიმრების შემდეგ მთავრობამ დააპატიმრა ტეიხეირა აბრეი, რომელიც ფრანკოს დროს იუსტიციის მინისტრად იყო. მასაც სახელმწიფოს ღალატი ჰბრალდება.

სამაგიეროდ ხალხი და ახალი მთავრობა დიდის ალტაცებით ეგებებიან წინანდელ მთავრობის მიერ დევნილ პირთ. ლისაბონში ამ დღეებში დაბრუნდა რესპუბლიკელთა მეთაური მაგალჰას ლიმასი, რომელიც მანუელის მეფობის დროს სამშობლოდან განდევნეს. ხალხი მას დიდის აღტაცებით დაუხვდა. აღფრთოვანებით მიეგებნენ დროებით მთავრობის წევრნიც.

**მღელვარება ესპანიაში.**

როგორც ვსწერდით, უკანასკნელს ხანს ესპანიას დიდი მღელვარება მოედო. მიტინგები მიტინგებზე იმართებოდა და ხალხს მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტები ვამოჰქონდა.

ახლად მიღებულ ცნობით, ესპანიაში საქმე მეტად გამწვავებულა. მთავრობას მიუმართავს რეპრესიებისთვის და ამით ჰსურს დაარწმუნოს ხალხი თავის სიმართლეში. სხვათა შორის, მთავრობის განკარგულებით, დაუპატიმრებიათ ცნობილი პროფესორი ოვეხერო, სტუდენტთა ფედერაციის პრეზიდენტი, რომელმაც ცხარე სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე ესპანიის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მაროკოს საქმეებში. ამბობენ, ოვეხეროს სამხედრო სამართალში აძლევენო.

ვენისა და ბერლინის გაზეთების ცნობით, ესპანიაში რევოლუცია უკვე დაწყებულა.

## განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და ხიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—209)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ კარაპეტიანცი** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ხიოპერმაკი** —6 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა ნავასარდიანი.

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პ ა ნ ს ი ო ნ ში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—7)

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., ხაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა, დამასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევამ 1 ს. (თ.—711-18)

გ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარ ◀ ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**გთხოვთ დარწმუნდეთ**

რომ იაფი და საუკეთესო ხარისხის საათები, ოქროსი და ვერცხლის ნივთები შეგიძლიანთ იყიდოთ მხოლოდ

**ა. ი. გოლდშტეინთან,**

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. (5—166—3)

**ქირავდება კარგად მოწყობილი პადვალი**

ქალაქ ტფილისში, სუდებნის ქუჩაზე, მაისურაძის სახლში N 6.

**კარგად მოწყობილი, კუხნით, ღვინის სარდაფით,**

და ერთი ოთახით. პადვალი სუფთა და დიდია, თავის ავეჯების შესყიდვით. მსურველს შეუძლიან პირობების გაგება ამავე სახლში მოვაჭრე **სპირიდონ კაციტაძის** მაღაზიაში. (3—168—2)

**თევზის მაღაზია ს. ა. გუკასოვისა**

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ

**ტელეფონი № 395**



**ტელეფონი № 395**

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი **ზუთხი და თართი,** ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.

**ფასები სინიდისიერია.** პატივისცემით ს. ა. გუკასოვი. (40—33—16)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მ ა ღ ა ზ ი ა ს**

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხი) **და სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

**და წითელი ხიზილალა (Кетовая).** (წ.—128—14)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა